განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობები
ბაკალავრიატი
შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 01.03.2021
დასკვნის წარდგენის თარიღი 18.04.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028849
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებულ რეჟიმშია 2019 წლის 4 დეკემბრიდან, აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წლის 04 დეკემბრის საბჭოს N231 გადაწყვეტილებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით გეგეჭკორი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გორგილაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის N231 გადაწყვეტილებით.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი საბაზისო სასწავლო კურსების (46 ECTS), ინგლისური ენის კომპონენტის (34 ECTS), სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების (106 ECTS), სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების (42 ECTS) და სასწავლო-კვლევითი კომპონენტისგან (12 ECTS).

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება შესაბამისობაშია შპს აღმოსავლეთ უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმასთან, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებას, შეფასების მექანიზმებისა და სტუდენტთა შეფასების სისტემის დახვეწას, პოტენციურ დამსაქმებელთან ახალი ურთიერთობების დამყარებას, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას, პროგრამის განხორციელებაში პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართვას, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავებას, საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივად განახლებას, მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას, სტუდენტების ჩართულობის ზრდის ხელშეწყობას მართვის პროცესებში და მათთვის სხვადასხვა სტუდენტური სერვისების შეთავაზება-გაუმჯობესებას, პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე ზრუნვას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში შექმნილი COVID -19 მდგომარეობის გამო პროგრამის შემოწმება ესქპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

  - პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით სგანმანათლებლობლო პროგრამას ძირითად კომპონენტად დაემატოს სასწავლო პრაქტიკა
  - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას;

უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომბლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედი კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარების პროცესები, რათა სტუდენტებს შეექმნათ საკუთრი ცოდნის გაფართოებისა და პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.
  - სასურველია ასევე უფრო მეტი მოწვეული სტუმრის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში და სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობების დამატება, რათა სტუდენტებს მიეცეთ საშუალება გაეცნონ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს პრაქტიკული მხარეს და შეიძინონ დამატებითი პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოცემული მიმართულებით.
  - ამასთანავე სასურველი იქნება სამომავლოდ პროგრამის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობა, რაც თავის მხრივ სამომავლოდ უზრუნველყოფს პროგრამის საერთაშორისო ურთიერთობების კომპონენტის გაძლიერებას.სასურველია, წარჩინებული სტუდენტების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, უსდ-მ დანერგოს სასტიპენდიო პროგრამა, რომლის მოპოვებაც დამოკიდებული იქნება, როგორც აკადემიურ მიღწევებზე, ასევე კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობაზე (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება და ა.შ).
  - სასურველია მიღების ერთ-ერთი წინაპირობა იყოს აპლიკანტის მიერ კვლევითი გამოცდილების ფლობა (კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაცია).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
აღწერა და შეფასება საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის N231 გადაწყვეტილებით. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი საბაზისო სასწავლო კურსების (46 ECTS), ინგლისური ენის კომპონენტის (34 ECTS), სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების (106 ECTS), სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების (42 ECTS) და სასწავლო-კვლევითი კომპონენტისგან (12 ECTS). საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შემუშავებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ეყრდნობა შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს, ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ტენდენციებს. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა უცხოური გამოცდილება. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამები. მათ შორის: ნეაპოლის უნივერსიტეტი პაფოსში, (Neapolis University Pafos); მისურის უნივერსიტეტი-სენტ-ლუისი (University of Missouri-St. Louis); და სხვა, ასევე, გათვალისწინებული იქნა უცხოელი გარე შემფასებლის არდენის უნივერსიტეტის (ლონდონი) პროფესორის დოქტორ ვაიბჰა მაჰაჯანის რეკომენდაციები. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს თეორიული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი ცნებების, კონცეფციების, პრინციპებისა და თეორიების, დიპლომატიის ისტორიის, მსოფლიო პოლიტიკის, საქართველოს პოლიტიკური სისტემის, ნაციონალიზმის თეორიების, საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპების, პოლიტიკური ფსიქოლოგიის, ეროვნული და საერთაშორისო

უსაფრთხოების, მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, საჯარო პოლიტიკის ძირითადი ცნებებისა და თეორიების , მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებაში/ტრანსფორმირებაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლის, საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტების, დიპლომატიური პროტოკოლისა და ეტიკეტის, საქართველოს საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო მოლაპარაკებების ძირითადი სტრატეგიების, ევროკავშირის ისტორიისა და ინსტიტუტების, ტერორიზმისა და კონტრტერორიზმის, გეოპოლიტიკის, ასევე შედარებითი პოლიტიკის შესახებ, რაც მოიცავს ცოდნის უახლეს ასპექტებზე დაყრდნობით საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია; • უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა • [http://eeu.edu.ge/განვითარების-გეგმა/-მისია/]; • საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის კვლევა - დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგების ანალიზი • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები. იგი მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ასევე განათლების ეროვნულ მიზნებს.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს შეეძლება:

(A) მიღებული ცოდნის საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული რთული და გათვალისწინებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტისათვის შესაბამისი საფუძვლების მოძიება, განმარტება და გამოყენება;

(B) საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების ანალიზი, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარება და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება შერჩეული მიდგომების დასასაბუთებლად;

(C) ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთვის დამახასიათებელი საჭირო ინფორმაციის მოძიება და განახლებული ცოდნის საფუძველზე მოძიებული ინფორმაციის თაობაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია;

(D) საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებული კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტის შემუშავება, წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების შესაბამისად;

(E) საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სოციალური კვლევის ეთიკის ნორმების დაცვით მოქმედება, სხვათა მოსაზრებებისა და შეფასებების პატივისცემა.

(F) აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად ცნებებს, კონცეფციებს, პრინციპებსა და თეორიებს, დიპლომატიის ისტორიის წყაროებს, გლობალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს პოლიტიკური სისტემის არსს, ნაციონალიზმის არსსა და ნაციონალიზმის თეორიებს, საერთაშორისო სამართლის ძირითად ცნებებსა და პრინციპებს, ძალაუფლების სოციალპოლიტიკურ და პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებსა და გამოწვევებს, მსოფლიო ეკონომიკის მაჩვენებლებს, საერთაშორისო ეკონომიკისა და გლობალიზაციის საკითხებს, საჯარო პოლიტიკის არსსა და მეთოდებს, საერთაშორისო ორგანიზაციების ბუნებას, მათ როლს საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში, ევროკავშირის ძირითად ინსტიტუტებს, საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების სტრუქტურასა და მათი გამოვლენის ფორმებს, მოლაპარაკებების ფუნქციებსა და მნიშვნელობას, დიპლომატიური პროტოკოლის მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში, თანამედროვე ტერორიზმის ძირითად სახეებს, მიზნებსა და მეთოდებს, ცალკეული სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესებს, ასევე შედარებითი პოლიტიკის არსსა და შედარებითი პოლიტიკის განვითარების საკვანძო ეტაპებს;

(G) განსაზღვრავს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და პრიორიტეტულ

მიმართულებებს, ასევე საქართველოს გზას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში.

(H) ახდენს მიღებული ცოდნის საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული რთული და გათვალისწინებული პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაწყვეტისათვის შესაბამისი საფუძვლების მოძიებას, განმარტებასა და გამოყენებას;

(I) აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ პრობლემებს, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით ავითარებს მათი გადაწყვეტის შესაბამის მიდგომებს და აყალიბებს სათანადო დასკვნებს შერჩეული მიდგომების დასასაბუთებლად;

(J) ახდენს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთვის დამახასიათებელი საჭირო ინფორმაციის მოძიებას და განახლებული ცოდნის საფუძველზე მოძიებული ინფორმაციის თაობაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციას;

(K) შეიმუშავებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებულ სასწავლო-კვლევითი ხასიათის სამუშაოს, წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად;

(L) ცნობს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სოციალური კვლევის ეთიკის დაცვის საჭიროებას, პატივს სცემს სხვათა მოსაზრებებსა და შეფასებებს.

პროგრამას სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის უნარები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად შემუშავდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

პროგრამის სწავლის შედეგები ფოკუსირებულია სტუდენტის მიღწევაზე. პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს უნდა გააჩნდეს. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. მათი მიღწევა შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებულ პერიოდში და არსებული რესურსებით.

პროგრამის სწავლის შედეგები შეფასებადია ანუ შესაძლებელია სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შემოწმება. ამასთან, სწავლის შედეგები თვალსაჩინო (ადვილად გასაგები) და გაზომვადია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს ადეკვატურ ფორმებს, მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით შედგა კურიკულუმის რუკა, რომელიც ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკაში მითითებულია ისიც თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს: I - გაცნობა, D - გაღრმავება და M -

განმტკიცება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • დამსაქმებელის გამოკითხვის ანალიზი • სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი • კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.
რეკომენდაციები: აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას; უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომბლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის	X			

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო პროგრამის აღწერით ნაწილში. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ჩარიცხვის უფლება ენიჭება სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა. პროგრამა უზრუნველყოფილია, სტუდენტთა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, მობილობის (წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით) ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვას (უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან) რაც ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე http://eeu.edu.ge და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისთვის
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა • საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://eeu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მიღების ერთ-ერთი წინაპირობა იყოს აპლიკანტის მიერ კვლევითი გამოცდილების ფლობა (კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაცია).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის შესაბამისად. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. უსდ-ში ვიზიტისას შეფასებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ეფექტიანობა. გაანალიზებული იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში წარმოებული საბუთები, მათი შესაბამისობა ცალკეულ პროცედურებთან. ინტერვიუების მეშვეობით გადამოწმებული იქნა მოქმედი მარეგულირებელი წესის ყველა დაინტერესებული პირის ხელმისაწვდომობა. ირკვევა, რომ პროგრამამ გაიარა დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა ეტაპი. დასტურდება, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუებით, ირკვევა ისიც, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის და სხვა სამსახურები. პროცედურულ საკითხებზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი. მკაფიოდ ჩანს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტიანი მუშაობა. სტრუქტურული და შინაარსობრივი ელემენტები შეესაბამება წარმოდგენილი მარეგულირებელი წესის პირობებსა და მოთხოვნებს. დაცულია სტრუქტურა, პროცედურული წესები, განხორციელებული სააკრედიტაციო, შიდა და გარე შეფასების მექანიზმები.

პროგრამა მიჰყვება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას (ECTS). სასწავლო კურსები შედგენილია აკადემიური და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით, საგნის თავისებურებების გათვალისწინებით. ის, პასუხობს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანებას.

სტრუქტურულად და შინაარსობრივად დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 240 ECTS, რომელშიც საბაზისო სასწავლო კურსებს ეთმობა (46 ECTS), ინგლისური ენის/უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტს (34 ECTS), 106 ECTS წარმოადგენს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებს (42 ECTS), სასწავლო-კვლევითი კომპონენტს (12 ECTS). სასწავლო პროგრამიდან ირკვევა, რომ სტუდენტს შეუძლია არაუმეტეს 12 თავისუფალი კრედიტი აირჩიოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ან მიიღოს მობილობის დროს მიღებული შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით.

პროგრამის სტრუქტურული ნაწილი, სასწავლო გეგმა, ასევე სასწავლო კომპონენტების სილაბუსები (ინფორმაციას წინაპირობების შესახებ) ითვალისწინებს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიმართ მასზე დაშვების წინაპირობას (ასეთის არსებობის ან საჭიროების შემთხვევაში). წინაპირობების არსებობა რელევანტურია, განსაკუთრებით იმ საგნებში რომლებსაც წინ უსწრებს შესავალი კურსები ().

მსჯელობის საგანია პროგრამის ზოგიერთი ძირითადი სასწავლო კურსი - **„შესავალი შედარებით პოლიტიკაში (ინგლისურ ენაზე)”** - ვფიქრობთ, შესავალი კურსი სწავლების VII სემესტრისთვის არარელევანტურია და ის, ან უნდა გადანაცვლდეს სწავლების I/II სემესტრში (სტუდენტზე ის, შეთავაზებული უნდა იქნას ქართულ ქართულ ენაზეც) ან შეეცვალოს სახელწოდება და ნაცვლად **„შესავალი შედარებით პოლიტიკაში (ინგლისურ ენაზე)“** ჩამოყალიბდეს როგორც **„შედარებითი პოლიტიკა (ინგლისურ ენაზე)“**. ამასთან, სემესტრის მონაცვლეობის შემთხვევაში, შედეგების მიღწევადობის მიზნით, გადაისინჯოს მისი შინაარსობრივი მხარე.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები მეტწილად ადეკვატურია დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, რომლებშიც მითითებულია როგორც წყაროები ასევე მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. სააკრედიტაციო განაცხადის თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. გარდა ამისა პროფესორ მასწავლებლების პერსონალური ბიოგრაფიული მონაცემებიდან (CV-დან) და ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ სწავლება ხორციელდება უახლესი ინფორმაციის დამუშავების, კვლევის შედეგად მიღებული აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.

პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების მოცულობა, კომპლექსურობა, ცხადყოფს, რომ უზრუნველყოფილია მათი თავსებადობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან, რაც იძლევა საფუძვლიან მოლოდინს, რომ პროგრამის წინაპირობის დაძლევის შედეგად ჩარიცხული პირისთვის პროგრამა დაძლევადია.

მთლიანობაში, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სავალდებულო და არჩევითი

კომპონენტები, თანმიმდევრობა შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს; უსდ-ს ვებ-გვერდის და სხვა ხელმისაწვდომი ქსელების მეშვეობით უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა • პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი • პროგრამის განვითარების ჯგუფის მუშაობის შესახებ ინფორმაცია • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი • უნივერსიტეტის ვებგვერდი: http://eeu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურა გაწერილი არის შესაბამის სილაბუსში და ასახავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სახელწოდების, ავტორის, სასწავლო კურსის სტატუსის, მიზნების, კრედიტების რაოდენობის და საათების (ECTS) განაწილების, სწავლის შედეგების, სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების/სწავლის

მეთოდების, შეფასების, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისა შესახებ. სილაბუსის შედგენის პროცედურები აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ დაცულია სრულად.

საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა, რომელიც წარმოაჩენს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას და ცოდნის სიღრმეს.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილ მასალებში ნათლად ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების, მათი მიზანშეწონილობის, შინაარსის განსაზღვრაში.

წარმოდგენილი მასალებიდან, ირკვევა, რომ დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მარეგულირებელი აქტები ქმნიან მექანიზმებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის შინაარსის იმავე სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების უმაღლესი განათლების შესაბამის (ამ შემთხვევაში საბაკალავრო) საფეხურთან თანხვედრის, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის/მოცულობის იმავე სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, სილაბუსში მითითებული სავალდებულო და სხვა სასწავლო მასალების კურსის სწავლის შედეგებთან თანხვედრა/შესაბამისობა და დადარების უზრუნველყოფას. პროგრამის შემადგენელი სასწავლო კომპონენტების შინაარსი, თემატიკა ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების პირველი, საბაკალავრო დონის პირველადი ცოდნის დონის გათვალისწინებით. სავალდებულო სასწავლო კურსის შინაარსი ესადაგება სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს. გარდა ამისა, სასწავლო კურსების შინაარსი ეფუძნება სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, შინაარსით შეესაბამება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს რომელიც იზომება შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. ინტერვიუებით ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. პროფესორ/მასწავლებლების პერსონალური მონაცემები, მათი სამეცნიერო პუბლიკაციები და პრაქტიკული გამოცდილება გავძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლება ხორციელდება აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა • სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://eeu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი მასალებიდან და ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის საფუძველზე, სტუდენტთა აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია ცალკეულ თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული აქტივობების სახით და ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. პროგრამის

სავალდებულო კომპონენტები ორიენტირებულია პროფესიულ მახასიათებლებზე რაც ცალკეული სასწავლო კურსების შინაარში ვლინდება. პრაქტიკული ნაწილი ასევე ინტეგრირებულია სასწავლო კომპონენტებში - იქ, სადაც მეტი აქცენტი თეორიის პრაქტიკაში რეალიზებისთვის საჭირო უნარჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე კეთდება. მაგალითად, დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი, მოლაპარაკებების ძირითადი სტრატეგიები და უნარები. ორივე სასწავლო კურსისთვის პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო-კვლევითი კომპონენტია ასევე საბაკალავრო ნაშრომი. სასწავლო პრაქტიკის კომპონენტს პროგრამა არ ითვალისწინებს ვინაიდან დამსაქმებლებთან სტაჟირების პოლიტიკაზეა ორიენტირებული. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სტუდენტები სტაჟირებას გადიან როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. უზრუნველყოფილია სასწავლო ვიზიტები შესაბამის დაწესებულებებში, სპიკერების მოწვევა უნივერსიტეტში.

სტუდენტთა გამოკითხვებიდან იკვეთება, რომ სტაჟირება სტუდენტებისთვის არასაკმარისია პროფესიული პრაქტიკული კომპონენტის განსავითარებლად. შესაბამისად აუცილებელია მისი გაძლიერება. რაც საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო პრაქტიკის როგორც აუცილებელი კომპონენტის შეტანით გახდება შესაძლებელი.

უსდ-ს გააჩნია მნიშვნელოვანი გამოცდილება სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების ორგანიზებაში. მასპინძლობს და ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევით ღონისძიებებში. აქტიურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს. ინტერვიუმ ასევე ცხადყო, რომ სტუდენტს პრაქტიკული თუ კვლევითი ხასიათის პროექტებში მონაწილეობისას ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელთაც შეუძლიათ მათი განმავითარებელი შეფასება.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევის უნარების განვითარებისთვის, თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან რაც სახელმწიფო სტრუქტურებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

პროგრამა ორიენტირებულია უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარება და/ან მათ შესაბამის პროექტებში ჩართვა. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ პროფესიული უნარების მიღწევას ემსახურება პროგრამაში ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსების არსებობა, როგორიცაა „აკადემიური წერის საფუძვლები“, „სოციალური კვლევის მეთოდები“ და საბაკალავრო ნაშრომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://eeu.edu.ge
- მემორანდუმები დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები: პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით სგანმანათლებლობლო პროგრამას ძირითად კომპონენტად დაემატოს სასწავლო პრაქტიკა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვა. ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებისას გამოიყენება შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), სხვა. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას. ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით იგეგმება შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობები (სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, ცალკეული უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები რაც დასტურდება უნივერსიტეტში შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით. საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის აქტივობებისა და მეთოდების შედარების, სასწავლო პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ ძირითადად გამოყენებულია, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის ვალიდური, პირველადი ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი მეთოდები, დაცულია სასწავლო კურსის თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა • სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან ონლაინ შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ხასიათდება გამჭირვალობით. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა ასევე წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ სასწავლო ბაზაში. აღნიშნული ელექტრონული სისტემის (EEU-EL) მეშვეობით სტუდენტს ეძლევა საშუალება გაეცნოს შეფასებების შედეგებს, იქონიოს უკუკავშირი ლექტორთან და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება.

აქვე ხაზგასასმელია, რომ მოცემული სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრმით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას, პრაქტიკული და თეორიული დავალების შესრულებას, ესსეების მომზადებას, პრეზენტაციის წარმოდგენას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, როლურ აქტივობებისა და ტესტირების ჩატარებას, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი და აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი რაც გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

ვიზიტის განმავლობაში, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ და ასევე გაცნობილნი არიან მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები საპრეტენზიო განაცხადით ფაკულტეტის ადმინისტრაციასადმი მიმართვის გზით. ამასთანავე, როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს ჩატარების დროს გამოიკვეთა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან, რაც საშუალებას აძლევთ მათ გააუმჯობესონ სწავლის შედეგები.

აღსანიშნავია, რომ შეფასება ისევე, როგორც უკუგება აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლის მეშვეობითაც როგორც სტუდენტებს ასევე ლექტორებსა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას საშუალება ეძლევათ გაეცნონ შედეგებს და გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესები მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;

○ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც ონლაინ-ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა გამოირჩევა იმ მექანიზმების მრავალფეროვნებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. კერძოდ, განათლების დეპარტამენტის მეშვეობით პროგრამის ყველა პირველკურსელი სტუდენტი იღებს ამომწურავ ინფორმაციას და საჭირო კონსულტაციას სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით. ასევე ყოველი სემესტრის დასაწყისში, დეპარტამენტის ორგანიზებით იმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები სტუდენტებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა პოზიციების გაზიარებას უნივერსიტეტის აქტუალურ საკითხებთან მიმართებაში. სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია.

სტუდენტებს ასევე მხარდაჭერას უწევს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის როგორც სწავლის პროცესთან, ასევე მათი შემდგომი კარიერული განვითარების საკითხების თაობაზე კონსულტაციების გაწევას. აღსანიშნავია, რომ სტუდნტების ინფორმირების მიზნით ეფექტურად გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (EEU-EL), ასევე MICROSOFT TEAMS Office 365 A1 ლიცენზირებული საკომუნიკაციო პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ვებ-გვერდზე განთავსებული გზამკვლევის მეშვეობით სტუდენტი იღებს ინფორმაციას ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, გრანტების, კარიერული განვითარებისა და საჯარო ლექციების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მოცემული კუთხით სასწავლო პროცესის განმავლობაში აღნიშნული პროგრამის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ აქტივობებში. კერძოდ, მოცემული პროგრამის სტუდენტი ვახტანგ ჟღენტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტში, გაეროს დღისადმი და გაეროში საქართველოს გაწევრიანების 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართული კონფერენციის მონაწილეს. ამავე პროგრამის სტუდენტები ასევე მონაწილეობდნენ სხვადასხვა თემაზე გამართულ საჯარო ლექციებსა თუ შეხვედრებში. ხაზგასასმელია, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შექმნილი სტუდენტური გაერთიანების „ახალგაზრდა საჯარო მოხელეთა აუდიტორი "ასმა"-ს აქტიური საქმიანობა საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე აქტუალური საკითხების ირგვლივ სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიმართულებით.

პროგრამა სტუდენტებს ასევე სთავაზობს, სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ერთ-ერთმა კურსადმთავრებულმა წარმატებით გაიარა სასწავლო სემესტრი ლოძის (პოლონეთი) უნივერსიტეტში. პროგრამის სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ ისარგებლონ რუმინეთის, შვეიცარიის და ლატვიის უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამებით. აღნიშნული შესაძლებლობის წარმატებით გამოყენების მიზნით, პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მეშვეობით სტუდენტებისათვის ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას, ხოლო დამატებით სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა შეისწავლოს სურვილისამებრ მეორე უცხო ენაც ყოველგვარი გადასახადის გარეშე. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ამჟამად მეორე უცხო ენად ისწავლება ფრანგული და რუსული, თუმცა სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი რომ

დაემატოს გერმანული ენაც, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო გაზრდის საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტთა სწავლის შესაძლებლობას.

აქვე ხაზგასასმელია, რომ პროგრამის წარმატებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ შემდეგი სახის სტიპენდიებითა და წახალისების მექანიზმებით: ერთჯერადი სტიპენდია/სასწავლო ვაუჩერი, 600 ლარიანი საუნივერსიტეტო სტიპენდია და სასწავლო გრანტი. ამასთანავე უნივერსიტეტში მოქმედებს შეღავათები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ სტუდენტთა მიმართ, კერძოდ თითოეულ დევნილ სტუდენტს გადაეცემა 400-ლარიანი სასწავლო ვაუჩერი, ხოლო წარჩინებულ დევნილ სტუდენტებს ენიშნებათ სპეციალური სტიპენდია და საშუალება აქვთ გაცვლით პროგრამებში, საუნივერსიტეტო დაფინანსებით მიიღონ მონაწილეობა.

აღსანიშნავია ასევე, რომ მოცემული პროგრამის ფარგლებში გარდა ზემოთ აღნიშნული აქტივობებისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ სტაჟირება სხვადასხვა პარტნიორ კვლევით ორგანიზაციებსა და ცენტრებში. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ასევე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში, რომელშიც ჩართულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი. ამჟამად უნივერსიტეტი ასევე აქტიურად თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან და ცენტრებთან: „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო“, „კავასიური სახლი“, „კავკასიის რეგიონალური გარემოს დაცვითი ცენტრი“, „საპარტნიორო ფონდი“, „თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრი“, „საგარეო პოლიტიკის საბჭო“. უნივესიტეტს გაფორმებული აქვს ტანამშრომლობის მემორანდუმები ასევ, ქ. თბილისი საკრებულოსთან, საქართველოს პარლამენტის ი.ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლოლვილთა სამინისტროსთან და სხვა. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ სტაჟირების გაზრდილი შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემული პროგრამის სტუდენტებმა გაიარე სტაჟირება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო“ ორგანიზაციაში და ასევე „საგარეო პოლიტიკის საბჭოში“.

თუმცა სტუდენტების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტის მხრიდან საქართველოში არსებულ საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებით დაინტერესებულ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობა და იმ კვლევითი ცენტრების სიის გაფართოება, რომლებთანაც ამჟამად თანამშრომლობს უნივერსიტეტი. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს როგორც სტუდენტთა სტაჟირების შესაძლებლობის გამრავალფეროვნებას, ისე რაოდენობრივად უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ონლაინ-ვიზიტის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;
- თანამშრომლობის მემორანდუმები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედი კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარების პროცესები, რათა

სტუდენტებს შეექმნათ საკუთრი ცოდნის გაფართოებისა და პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა. 2. სასურველია ასევე უფრო მეტი მოწვეული სტუმრის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში და სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობების დამატება, რათა სტუდენტებს მიეცეთ საშუალება გაეცნონ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს პრაქტიკული მხარეს და შეიძინონ დამატებითი პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოცემული მიმართულებით. 3. ამასთანავე სასურველი იქნება სამომავლოდ პროგრამის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობა, რაც თავის მხრივ სამომავლოდ უზრუნველყოფს პროგრამის საერთაშორისო ურთიერთობების კომპონენტის გაძლიერებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამას ახორციელებს უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია და მრავალწლიანი თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილება (დასტურდება პერსონალის პირადი საქმეებით).

პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 31 პირი, მათ შორის: პროფესორი - 5, ასოცირებული პროფესორი - 9, ასისტენტ-პროფესორი - 6, მოწვეული პედაგოგი - 11. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი გამოირჩევა თავისი მაღალი კვალიფიკაციით და პროგრამაში ჩართულნი არიან საქართველოს კანონმდებლობისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები • აკადემიური პერსონალის აფილირების წესი • უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის ჩატარების წესი • სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წესი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას და ამისათვის სხვადასხვა მექანიზმს იყენებს. კერძოდ, სტუდენტების გამოკითხვა, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის მაჩვენებლები, საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობა და ა.შ. ხოლო, მიღებული მონაცემებისა და მისი ანალიზის საფუძველზე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური შეიმუშავებს წლიურ სამოქმედო გეგმასა და მასში პერსონალის ჩართვის მექანიზმებს.

ყოველი სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის დასრულებამდე სასწავლო ბაზაში ხდება კითხვარების განთავსება. სტუდენტები აფასებენ თითოეული საგნის პედაგოგს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს შევსებულ კითხვარებს და მიღებულ შედეგებს გააცნობს ფაკულტეტს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განათლების დეპარტამენტს. გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ხდება მომდევნო სემესტრის დაგეგმვა და პერსონალის შერჩევა.

სამეცნიერო კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და მის ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- განათლების დეპარტამენტის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი
- სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წესი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, შეფასება განხორციელდა თანამედროვე ელექტრონული საშუალების მეშვეობით, ინტერვიურების და თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე დადგინდა პროგრამის მატერიალური რესურსის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან. დაწესებულების განმარტებით, აუდიტორიებს აქვთ სასწავლო პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობა. ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო ბიბლიოთეკის ქსელში და აქვს წვდომა სპეციალიზებულ ელექტრონულ რესურსებზე, როგორიცაა EbscoHost, HeinOnline, ELSEVIER სისტემის ბაზები: Science Direct, SciVal finder, Scopus, Mendeley–ს მონაცემები.

ბიბლიოთეკის დირექტორთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზეც მიმდინარეობს წიგნების შეტანა ელექტრონულ ბაზაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო ბაზები;
- ინტერვიურება დაწესებულების ადმინისტრაციასთან
- ინტერვიურება ბიბლიოთეკის დირექტორთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციას. პროგრამის დეტალური ბიუჯეტი ცხადყოფს პროგრამის მდგრადობას. ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის დაფინანსებას სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობის მიღების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის მმართველ რგოლში წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რომლის საქმიანობა ეფუძნება ეროვნულ (ავტორიზაციისა და აკრედიტაციის), საერთაშორისო ((Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area) სტანდარტებს და მისი მიზანია, უზრუნველყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების უწყვეტად და სისტემურად გამოყენების პროცესების ადმინისტრირება PDCA ციკლის გამოყენებით.

დაგეგმე - Plan: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დასაწყის ეტაპზე ხდება შეფასება და შედეგების საფუძველზე პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება, მათ გასაუმჯობესებლად საჭირო გზების განსაზღვრა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა;

განახორციელე - Do: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შემდეგ ეტაპზე ხდება იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხების გასაუმჯობესებლად დაგეგმილი

აქტივობებისა და მაკორექტირებელი ღონისძიებების/ჩარევების განხორციელება;

შეამოწმე - Check: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ამ ეტაპზე ხდება განხორციელებული ცვლილებების შედეგების შეფასება;

განავითარე - Act: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ამ ეტაპზე უზრუნველყოფილია შეფასების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელება.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცედურა, რომელიც მოიცავს პროგრამის შედეგების შეფასება თვითშეფასების ჯგუფის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით დ ამასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის გადახედვის, მისი

მოდიფიცირებისა და თვითშეფასების პროცესის წარმართვა ხორციელდება უნივერსიტეტში დანერგილი ზემოთ დასახელებული შიდა პროცედურის შესაბამისად, რომელიც შიდა ხარისხის პროცესების ნაწილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა • შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები EEU-ში ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის და/ან ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიში წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი წარდგენის ფორმებისა და პროცედურების დაცვით. EEU განიხილავს და ასრულებს აკრედიტაციის

დროს მიღებულ რეკომენდაციებს. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გარე შეფასების მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები, უზრუნველყოს პროგრამების შეფასება და შეფასების შედეგების თანმიმდევრული იმპლემენტაცია. გარე შეფასების პროცესში, ასევე, შესაძლოა, ჩართულნი იქნენ პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები. დასახელებული მექანიზმი გამოყენებული იქნა საერთაშორისო ურთიერთოებების საბაკალავრო პროგრამის მიზნებისთვის და მისი შედეგები უნივერსიტეტმა გამოიყენა პროგრამის განვითარებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა, ○ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად პროცესს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება. უნივერსიტეტში დანერგილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად ექვემდებარება მონიტორინგს/შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით. შეფასების შედეგები, ისევე როგორც შეფასების შედეგების გამოყენება ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს. საგანმანათლებლო პროგრამების

შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდების გამოყენება. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას გამოიყენება: დარგში არსებული სიახლეების მიმოხილვა და ანალიზი; სტუდენტების უნარებით დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა; სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი; სტუდენტების კმაყოფილების ყოველსემესტრული კვლევა; დარგის სწავლების მეთოდებში დანერგილი სიახლეების ანალიზი; დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი; კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების კვლევა; პროგრამასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი. პროგრამის შიდა თვითშეფასების ფორმა, რომელიც ყოველწლიურად უყრის თავს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს, მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს - გამოკითხვების შედეგებს, ინფორმაციას სტუდენტთა პროგრესიის შესახებ, ინფორმაციას განხორციელებული კვლევების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობის მაჩვენებელსა და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი:

საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრიატი:

დასკვნის პროექტის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დავით გეგეჭკორი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



ნანა ფირცხელანი

ირაკლი გორგილაძე